სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080182278164022

№ 598

18 / თებერვალი / 2022 წ.

შპს „პალადას“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 8 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2022 წლის 8 თებერვლის № 0802/2022-02 მომართვა (რეგისტრაციის № 1192), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2022 წლის 9 მარტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2022 წლის 10 მარტიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე